ინკლუზიური განათლების კვლევა - სკოლის მიღწევები, გამოწვევები

რუსუდან მარკოზაშვილი, სოფიკო ჩილინგარაშვილი, გვანცა დავითელაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან თოდაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

სოფიკო ჩილინგარაშვილი

გვანცა დავითელაშვილი

რუსუდან მარკოზაშვილი

20.06.2022 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში ინკლუზიური განათლების რეფორმა 2005 წლიდან მიმდინარეობს, თუმცა ამ დროის განმავლობაში პროგრესთან ერთად, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. ინკლუზიური განათლების წარმატებით გასახორციელებლად მნიშვნელოვანია ჰოლისტური მიდგომა, რაც სასკოლო საზოგადოების - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სპეც მასწავლებელი და ფსიქოლოგი - სრულ ჩართულობასა და თანამშრომლობას გულისხმობს.

აღნიშნული ნაშრომი ემსახურება ქ. თბილისის #177 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პრაქტიკის კვლევას, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და შესაბამისი ინტერევენციების დანერგვის დახმარებით პროგრესის განხორციელებას.

ძირითად მეთოდოგიურ მიდგომად გამოყენებულია პრაქტიკის კვლევა, მულტიმეთოდური ხასიათით. კვლევითი პროცესი წარიმართა 4 ძირითად ეტაპად: პრობლემის დიაგნოსტიკა; ინტერვენციების შემუშავება; ინტერვენციების განხორციელება და შეფასება.

დიაგნოსტიკური კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ძირითადი პრობლემები, რომელიც გულისხმობს პედაგოგებს, სპეც მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებს შორის თანამშრომლობის კულტურის ნაკლებლობას, სწავლა-სწავლების პროცესში მშობლების ჩართულობის სიმცირეს და პედაგოგების განმავითარებელი თვითშეფასების საჭიროებას.

არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამი ინტერვენცია. თანამშრომლობის კულტურის გასაძლიერებლად შეიქმნა ინკლუზიური განათლების კათედრა, რომელმაც აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება და უზრუნველყოფს ინკლუზიურ სწავლებას დისტანციური

სწავლების რეჟიმშიც კი. შეიქმნა იქნკლუზიური განათლების გზამკვლევი მშობლებისთვის - რომელიც მოიცავს სხვადასხვა მეთოდსა და ინსტრუმენტს - სწავლა-სწავლების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, დაინერგა საგნის პედაგოგთა თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც პროგრსის შეფასების და არსებული გამოწვევების შესაცებ რეფლექსიაში ეხმარება მონაწილეებს.

საძიებო სიტყვები:

ინკლუზიური განათლება, სპეციალური სგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი, თვითშეფასება, პროგრესი.

Abstract

Inclusive education reform in Georgia started in 2005. Since then, great progress has been developed but at the same time, there are lots of challenges occurred to overcome. In order to reach the quality inclusive education, wholistic approaches need to be implemented with the involvement and collaboration of school society – pupils, teachers, special educators and phycologist.

The thesis serves to research the inclusive education practice in Tbilisi #177 public school, aiming to identify the existing problems and through implementing relevant interventions develop and reach progress regarding Inclusive education.

The action research is defined as a major methodological approach. The research was implemented with 4 general steps: Problem diagnostics; planning interventions; implementing and evaluating interventions.

Within the frames of diagnostic research, the following problems have been revealed: the lack of culture of collaboration among teachers, special educators and psychologists; the lack of participation of parents in educational processes; the need of formative self-evaluation of the subject teachers.

To overcome existing challenges, within the frames of an action research three interventions have been implemented. In order to empower collaborative culture, inclusive education department has been created, which already started working very actively and even ensures inclusive education during the distance learning. A guideline for inclusive education has been created especially for parents. It includes different methodologies and instruments which will increase parents' involvement in educational processes. Besides, self-assessment rubric has been established, targeting subject teachers. The rubric helps teachers to evaluate the progress and existed challenges.

Keywords:

Inclusive education, Special educator, Pupils with special needs, Self-assesment, Progress.